ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 45

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

შპს „გლდანი ავტოპარკინგსა" და ქ.თბილისის მთავრობას შორის 2012 წლის 17 ივლისს გაფორმებული „ქალაქ თბილისის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული საზოგადოების კაპიტალში არსებული წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.19.170 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას გაათავისუფლოს შპს „გლდანიავტოპარკინგი" ა)2014 წლის 30 დეკემბრიდან შესაბამისი აქტის გამოცემამდე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან და ბ) შესაბამისი აქტის გამოცემიდან 2015 წლის 1 სექტემბრამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი